



ქართული ლექსი

XX საუკუნე

შეადგინა ზვიად რატინმა

ქართული ლექსი

XX საუკუნე

მხატვარი კოტე სულაბერიძე



საქართველოს ეროვნული
ბიბლიოთეკა
სამინისტრო

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-511-0

www.diogene.ge

სარჩევი

შესავალი	11
გრიგოლ რობაქიძე	17
ალექსანდრე აბაშელი	19
ვალერიან გაფრინდაშვილი	21
იოსებ გრიშაშვილი	29
გალაკტიონ ტაბიძე.....	35
პაოლო იაშვილი	51
ტიციან ტაბიძე	60
მიქელ პატარიძე.....	71
კოლაუ ნადირაძე.....	72
ნიკოლო მიწიშვილი	73
ჟანგო (ივანე) ლოლობერიძე.....	74
ტერენტი გრანელი	76

გიორგი ლეონიძე.....	81
სიმონ ჩიქოვანი	92
ნიკო სამადაშვილი.....	98
ირაკლი აბაშიძე.....	107
გაბრიელ ჯაბუშანიური.....	109
გრიგოლ აბაშიძე	114
ალექსანდრე საჯავია	118
ლადო ასათიანი.....	120
მირზა გელოვანი	126
ივანე ნიკლაური.....	131
გიორგი ნაფეტვარიძე.....	134
იოსებ ნონეშვილი	135
მურმან ლებანიძე	137
ანა კალანდაძე.....	145
მიხეილ ქვლივიძე	148
გივი ძნელაძე.....	153
თამაზ ჩხენკელი.....	154
შოთა ჩანტლაძე.....	160
მუხრან მაჭავარიანი	176
შოთა ნიშნიანიძე	183
გიორგი კორნაპელი.....	191
თამაზ ჭილაძე	193
ვახტანგ ჯავახაძე.....	195

ტარიელ ქანტურია.....	202
ოთარ ქილაძე.....	211
გივი გეგეჭკორი	219
გურამ რჩეულიშვილი	233
ემზარ კვიციანიშვილი	238
ვახუშტი კოტეტიშვილი	239
იზა ორჯონიკიძე	242
დავით წერედიანი.....	247
მამუკა ნიკლაური.....	252
ესმა ონიანი.....	257
ბესიკ ხარანაული	260
ლია სტურუა	290
თედო ბექიშვილი.....	298
გურამ პეტრიაშვილი	304
ჯემალ აჯიაშვილი.....	306
არჩილ ფირცხალავა	308
ჯარჯი ფხოველი	311
გივი ალხაზიშვილი	318
რენე კალანდია.....	330
დავით მჭედლური	334
ბორენა ჯაჭვლიანი.....	339
ნაირა გელაშვილი.....	343
ვახტანგ ხარჩილავა	348

ბათუ დანელია	351
ბადრი გუგუშვილი	360
გურამ ოდიშარია	362
კოტე ყუბანეიშვილი	364
დალილა ბედიანიძე	367
გიგი სულაკაური	370
მანანა ჩიტეშვილი	376
თემურ ჩხეტიანი.....	379
ეთერ თათარაიძე.....	384
ნუგზარ ზაზანაშვილი.....	387
ანდრო ბუაჩიძე	389
ელა გოჩიაშვილი	398
ზაზა თვარაძე	411
რუსუდან კაიშაური	421
შადიმან შამანაძე.....	425
თამაზ ბაძალუა.....	428
ომარ თურმანაული	442
ნინო დარბაისელი	448
ჯუანშერ ტიკარაძე.....	451
დავით ჩიხლაძე	456
კარლო კაჭარავა	462
დათო ბარბაქაძე.....	466
შოთა იათაშვილი.....	476

ზურაბ რთველიაშვილი.....	490
მაია სარიშვილი.....	494
ზვიად რატიანი.....	498
გაგა ნახუცრიშვილი.....	506
შალვა ბაკურაძე.....	509
თეონა ბექიშვილი.....	513
ალეკო ცქიტიშვილი.....	520
რეზო გეთიაშვილი.....	524
ლელა სამნიაშვილი.....	528
რატი ამალლობელი.....	532
ნიკა ჯორჯანელი.....	537

შესავალი

როცა გამომცემლობა „დიოგენეს“ შემოთავაზებებს დავთანხმდი და ამ წიგნის შედგენა ვითავე, კარგად მესმოდა, რომ ეს არის საქმე, რომლის შედეგიც სრულად ვერავის დააკმაყოფილებს, ვერც მკითხველს, ვერც ავტორებს, ვერც დამკვეთს და, ასე განსაჯეთ, ვერც შემდგენელს. დარწმუნებული ვარ, გაივლის დრო და ბევრ რამეს თვითონაც სხვაგვარად შევხედავ.

ვერ წარმომიდგენია თუნდაც ერთი მკითხველი, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს და არაფერს მოისაკლისებს, ან არაფერი ეზედმეტება. მესმის, რომ ავტორების უმეტესობაც სულ სხვაგვარად ისურვებდა საკუთარი ნამუშევრების წარმოჩენას, სხვა ლექსებით, სხვა თანმიმდევრობით, სხვა ოდენობით. ვფიქრობ, განსაკუთრებით კრიტიკული იქნებიან გარდაცვლილი ავტორების არალიტერატორი შთამომავლები, რომლებიც სრულიად განსხვავებული კრიტიკერიუმებით აფასებენ თავიანთი წინაპრების შემოქმედებას. რაც მთავარია, არის მრავალი ცოცხალი თუ გარდაცვლილი პოეტი, ვისი ლექსებიც წიგნს მიღმა დარჩა, თუმცა ვეჭვობ, რომ აქ წარმოდგენილი ავტორები, რომელთაც გამოქვეყნებული ლექსების ოდენობა ეცოტავებათ, უფრო გამინაწყენდებიან, ვიდრე ისინი, ვისი ნაწარებიც საერთოდ ვერ მოხვდა წიგნში.

მიუხედავად ანთოლოგიისათვის დამახასიათებელი სტრუქტურისა, ეს მაინც არ არის ანთოლოგია, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი შედგენა ერთი ადამიანის სუბიექტურ გემოვნებასა და ხედვას ეფუძნება. პირიქით, საავტორო ანთოლოგიების პრაქტიკა საკმაოდაა გავრცელებული თანამედროვე მსოფლიოში. ვერც სუბიექტურობა ჩაითვლება ცოდვად: პოე-

ზიასთან მიმართებაში სწორედ აბსოლუტური ობიექტურობა იქნებოდა უგუნურობა. ეს არ არის ანთოლოგია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასში თითოეული ავტორისთვის გამოყოფილი სივრცე (თუნდაც ყველაზე უხვად წარმოდგენილი ავტორების შემთხვევაში) მეტისმეტად მცირეა მათი შესაძლებლობების წარმოსაჩენად. საქმე ისაა, რომ გამომცემელთან იმთავითვე შევთანხმდით ფორმატზე: წიგნი არ უნდა ყოფილიყო მეტისმეტად სქელტანიანი, არ უნდა დამსგავსებოდა სამშენებლო ბლოკს, რომლის ხელში დაჭერა და, იმავდროულად, პოეზიის აღქმისათვის აუცილებელი ინტიმის შენარჩუნება შეუძლებელია. ამდენად, მე ორიენტირებული ვიყავი ლექსებზე და არა ავტორებზე, რადგან მიზნად დავისახე შეძლებისდაგვარად მომენიშნა და წარმომეჩინა XX საუკუნის ქართული ლექსის გზა, მისი განვითარების რიტმი, მის მიერ ათვისებული პერიმეტრი.

ეს არც შედეგების წიგნია. შეუძლებელია, პოეტური მრავალფეროვნებით ყველაზე მდიდარი საუკუნე მხოლოდ სიმაღლეებით წარმოაჩინო. როგორღაც უნდა მეჩვენებინა არამარტო მიღწევები და გარღვევები, არამედ შედარებითი ჩავარდნებიც, შეყოვნებებიც. რადგან პოეზია ერთ ადგილს დიდხანს არასდროს ტკეპნის: ენერგიულად თუ ზანტად, მაგრამ ყოველთვის ვითარდება, და თუ მისი დინება დროდადრო ნელდება, მხოლოდ იმიტომ, რომ კალაპოტი გაიფართოვოს.

პირველი და შედარებით მსუბუქი თავსატეხი მიჯნების განსაზღვრა იყო: საიდან დამეწყო და სად დამესრულებინა XX საუკუნის ქართული პოეზიის ათვლა. ბოლოს და ბოლოს, მეტისმეტად პირობითია ეს ქრონოლოგიური, კალენდარული საზღვრები, განსაკუთრებით – პოეზიასთან მიმართებაში. ვფიქრობ, გონივრული გადანყვეტილება იყო, უარი მეთქვა წიგნში იმ პოეტების ლექსების შეტანაზე, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში, მართალია, ჯერ კიდევ თხზავდნენ, მაგრამ

მათი შემოქმედება მაინც XIX საუკუნის ქართული პოეზიის განუყოფელი ნაწილია. არადა ასეთ პოეტებს შორის, სხვას რომ თავი დავანებოთ, ვაჟაც იყო, აკაკიც, ილიაც. ასევე წიგნს მიღმა დარჩა არაერთი საინტერესო თანამედროვე პოეტი, ვისი გზაც გასული საუკუნის 90-ან წლებში დაიწყო, მაგრამ მათი ნიჭისა და ინდივიდუალიზმის საბოლოო ფორმირება მაინც XXI საუკუნეს უკავშირდება.

გამიჭირდება დავასახელო ერთი კონკრეტული კრიტიკერიუმი, რომლითაც ვხელმძღვანელობდი წიგნის შედგენისას, რადგან სხვადასხვა პერიოდთან მიმართებაში ეს კრიტიკერიუმები იცვლებოდა. შეუძლებელია ერთი საზომით შეაფასო, ვთქვათ, 20-ანი, 50-ანი და 90-ანი წლების პოეზია. მეტიც, ეს კრიტიკერიუმები იცვლებოდა ცალკეულ ავტორებთან მიმართებაშიც, რადგან არიან პოეტები, ვისაც ზოგადი, საყოველთაო საზომით აფასებ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თავად გთავაზობენ მათი შემოქმედების შეფასების უნიკალურ, ინდივიდუალურ კრიტიკერიუმებს.

მინდა მკითხველი დავარწმუნო, რომ წიგნის შედგენისას განმსაზღვრელი ნამდვილად არ იყო ჩემი პირადი დამოკიდებულება ამა თუ იმ ავტორისადმი, არ ვხელმძღვანელობდი მხოლოდ საკუთარი მოწონება-არმოწონების პრინციპით. აქ არის არაერთი ავტორი თუ ცალკეული ლექსი, რომელიც, როგორც მკითხველს, დიხაბაც რომ არ მომწონს, მაგრამ ვხედავ მათ ადგილს იმ მთლიანობაში, რასაც XX საუკუნის ქართული პოეზია ქვია. სწორედ ასეთ პოეტებზე გადის ჩემი ობიექტურობის ზღვარი, ზღვარი, რომლის მიღმაც რჩებიან ავტორები, რომელთა ნაწერებისადმიც, უბრალოდ, ყრუ ვარ... მათ შორის ალბათ არიან ისეთებიც, ვისი ნიჭიც არაფრით ჩამოუყვარდება და იქნებ აღემატება კიდევ წიგნში შესული არაერთი პოეტის შესაძლებლობებს, მაგრამ მე მათი ხმა არ მესმის (ყოველ შემთხვევაში,

ჯერჯერობით) და არ იქნებოდა სწორი, ავყოლოდი ნებისმიერი სახის კონიუნქტურას, იქნებოდა ეს საბჭოთა, პოსტ-საბჭოთა თუ სხვა, და ასეთი ავტორები ბრმად შემეტანა წიგნში.

არც ის უნდა იყოს გასაკვირი, თუ აქ შეხვედებით ზოგიერთ ავტორს, ვის გარეშეც წიგნი ბევრს არაფერს დაკარგავდა. როცა საქმე ერთი საუკუნის მანძილზე შექმნილ პოეზიას ეხება, სრული ობიექტურობა და მიზეზ-შედეგობრივი ნესრიგის მიღწევა წარმოუდგენელია. დღეს რომ ამ კრებულზე მუშაობას ვიწყებდე, დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ სხვაგვარად დალაგდებოდა, წიგნს ზოგი ავტორი გამოაკლდებოდა, ზოგიც დაემატებოდა, რაც ბუნებრივია, რადგან ეს არც კლასიფიკაციის მცდელობაა და არც, მით უმეტეს, პოეტების დოლი. ჩემი მიზანი XX საუკუნის ქართული პოეზიის მრავალფეროვნებისა და მთლიანობის ჩვენება იყო, იმ ლოგიკური ბმულების ჩვენება, რომლებიც შეინიშნება სხვადასხვა პერიოდისა და ყაიდის პოეტებს შორის; ჩვენება იმისა, რომ – თუ ერთი ცნობილი გამოთქმის პერიფრაზს მოვიშველიებთ – უკანა პოეტი წინა პოეტის ხილია.

ერთი აუცილებელი დაზუსტებაც. მიუხედავად გამომცემლის თხოვნისა, დიდხანს ვჭოჭმანობდი, რამდენად გამართლებული იქნებოდა ჩემ მიერ შედგენილ წიგნში ჩემივე ლექსების შეტანა. ბოლოს მაინც გადავწყვიტე ამის გაკეთება, რადგან ობიექტურად ვთვლი საკუთარ თავს გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის ლიტერატურული პროცესის ნაწილად. სხვა თუ არაფერი, ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთ ღირებულ არგუმენტს ვმატებ წიგნის მომავალ კრიტიკოსებს.

აქვე დავძენ, რომ წიგნმა საბოლოო სახე გამომცემლობის რედაქტორთან კონსულტაციების შედეგად მიიღო და ამ პროცესში ჩემ მიერ შერჩეული ავტორებისა და ცალკეული ლექსების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

ზვიად რატიანი

ირრუბაქიძე

პასუხი ევროპის პოეტებს შეკითხვაზე:
რეალისტებს, ნატურალისტებს, სიმბოლისტებს,
ფუტურისტებს, დადაისტებს და ყველა მათ ნაშიერს.

...

მე მაშინ ბავში ვიყავ.

ველზე მიმეძინა.

იყო დიდი მუხა და ტიტველი შუადღე.

იყო მწვანე ხავსი და ყვითელი კალო.

როცა გამეღვიძა – სახელოებში ხვლიკები დავინახე.

მე არ მიკვივლია:

ეს იყო მზის ნიშანი.

(ხალიბის სხეულს ნალად აჩნევია –

ყოველი კუნთი რომ არის მზენაკრავი)...

1917. აგვისტოს 17.

ირანის თეთრი ღამე ქვის ლომზე გავათენე.

(ფილიპპის ძე თვითონ ამ ლომის სახელია).

ეს იყო ხამადანში:

საცა ერთ ღამეს დიდმა ალექსანდრემ

ათიათასს მხედარს ათიათასი ქალი

მოთენთილ ბალახებზე ცოლებად გაუფინა.

მე მხოლოდ მომაგონდა –

მაგრამ დავიკვივლე: რომ ვნახე გადალახვა.

(ყოველი ხერხემალი ელის ამ ნიშანს –

დამვურვებელი ირრუბაქიძე)...

ჩემს მაღალ თავლაში
ჯერ კიდევ დაბმულია
დამცხრალი ცხენი პატმოსის კუნძულიდან.
მისი ნესტოები სეისმოგრაფია
ყველა მიწისძვრების.
უცდის დოსტოვესკის
და უსმენს მხოლოდ ქვესკნელის გუგუნს.
ერთხელ აინყვიტა
და გაიჭიხვინა –
დიონისის სიტყვა „ტფილისის ხერხემალი“.
(სტამბები ვერ სტამბავენ:
ალბათ, ეშინიათ დაზგების ავარდნის)...
იქვე ბაგას ანგრევს კიდევ სხვა ნადირი:
„კარდუს“ მონოლიტი რისხვარი მარტორქა.
მე არა მგონია, რომ ვინმემ დაიურვოს.
მასთან ახლო მისვლა
მე თვითონ მეშინია –
თუ ხელში არ მიჭირავს ნინოს ნაწნავები.
(მხოლოდ ეს ანელეებს).
უცდის მზის მოვარდნას –
გავარდეს საბულრაოდ.
(მითხარით კიდევ სხვა სანახაობა!)...
ჯერ კი მისი სუნთქვა
მოდის, როგორც „მალშტრემ“.
(თქვენც იცით: რომელზედაც
ლემბომ მიუშვა ულაცი ჰიპპოპოტამ.)
მისი ავი სუნთქვა მოდულს, როგორც „მალშტრემ“.
ზვავების ურაგანი
შეანგრევს ევროპას.
სიტყვაც ხომ მაგარია:
ირრუბაქიძე...

შორეული ნაპირი

(3)

ანგელოზივით ძირს დაიხრება
ოცნება, სულის ნაზი მხლებელი,
და დამშვიდებულ გულში იღვრება
მოგონებათა ნელსაცხებელი.
გახსნის ნაპირებს ნაკადი ტკბილი,
მოდის სიზმარი განაცხადები:
დედის ოთახი, ყოველთვის თბილი,
დაბალ კედელზე ძველი ხატები.
ხატის წინ სამი თაფლის სანთელი
და ვერცხლით სავსე პატარა ქისა.
ხატზე დოლბანდი და შარშანდელი
ფოთოლგამხმარი წმინდა რტო ბზისა.
შუაში ჯვარცმა, როგორც საყდარში,
ირგვლივ – მადონა, მირქმა, ხარება.
თაროზე ტყავის გაცრეცილ ყდაში
ძველი ფსალმუნი და სახარება.
აქ იყო ჩემთვის გამონარჩევი
ოცნება, დედის ცრემლით ნათესი.
ამ დროს ეკუთვნის კურთხევა ჩემი
და მოგონება უძვირფასესი.

ტრიოლეტები

მსოფლიო ციხეა საზარი,
ტყვე არის არსება ყოველი,
და სასჯელს არა აქვს საზღვარი,
მსოფლიო ციხეა საზარი.
დარაჯად სიკვდილი მზად არი,
მის ძახილს ყოველ წამს მოველი.
მსოფლიო ციხეა საზარი
და ტყვეა არსება ყოველი.

სიკვდილი ყოველ წამს უძახის
მისგანვე უაზროდ არჩეულს.
მძიმეა ლოდინი ტუსაღის.
სიკვდილი თავის მსხვერპლს უძახის,
იელვებს ბრმა თვალი ყრუ სახის –
და ძაძა დაჰფარავს ფარჩეულს.
სიკვდილი ყოველ წამს უძახის
მისგანვე უაზროდ არჩეულს.

ვალერიან ბაფრინდაშვილი
1889-1941

ლოცვა

ღმერთო, მაპატიე უმიზნო ცხოვრება!
ღმერთო, მაპატიე პოეტობის სურვილი.
დღეს ჩემი ოცნება შენ გემათხოვრება
სუსხიან უცრემლო ქვითინით დაბურვილი.
უვიცს და უბედურს, მე დიდხანს მეგონა –
საჭიროა დიდება, ბრწყინვალე სახელი.
ახლა ჩემი სული ლოცვას ჩაეკონა,
მფარველ ანგელოსის მომესმა ძახილი.
შენ, სულო, ღმერთისკენ მუდამ მიდიოდი.
ქვეყანა ცოდვიანი, უცნობი გაშინებს.
შევსცქერი მსოფლიოს, როგორც იდიოტი,
ირიბი სამყარო მთლად გადამაშენებს.
თუ ვერ მოვახერხე, მაინც ხომ მწყუროდა,
მაინც ხომ მინდოდა ქრისტეს სიყვარული,
მაგრამ მანვალეზდა სარკის ფულუროდან
ვინრო ყელსახვევით აჩრდილი ფარული.
თუმცა მე პოეტად თავი გავასაღე,
თუმცა გამოვკვეთე თრთოლვა იქითური,
არ იყო ჩემს ყოფაში სიმართლის ნასახი,
მეხალისებოდა ცხოვრება ბითური.
ვიყავი უკმეხი, როგორც რადივილი,
და ახლა ვათავებ ისევ მონანებით.
მიიღე, უფალო, ამ ლოცვის ტკივილი,
გამაბედნიერე შენივე ზმანებით.

ყელსახვევის პოეტიკა

მე გამოვიგონე ყელსახვევის პოეტიკა,
პოეტს რომ წვირიან კისერზე ეკიდა.
ოთხასი წლის ყორანი თავის ცქერით მაჩერებს,
როცა ეხეთქება რკინის მოაჯირებს.
შენ, სულო, ცრემლების ნახე ილიონი.
ო, ვინ დამავალა ყელსახვევის პოეტიკა!
ნანას მიგალობდა აღმზრდელი – რიონი,
როცა ჩემი სული სინაზე ეკიდა.
გამოჩნდა ინფანტა – ცარიელი, ლამაზი,
მას მკვდარი ბელურა კისერზე ეკიდა.
ბევრი ჩატერტონი დაფიქრდება ამაზე:
ლამის ყელსახვევის შავი პოეტიკა.
ჩემი აქვითინება, სიკვდილის მონატრება
და სალომეასთვის სალამის კადრება.
ჩემი თვითმკვლევლობის შავი პოეტიკა,
როცა ყელსახვევი კისერზე მეკიდა.
მე – იოქანაანი, მწვანე ვით ფანქარი:
საფირონის ტახტზე წითელი იროდი.
კვლავ მომელანდება სასტიკი ლანგარი,
მასზედ – მოკვეთილი თავით რომ ვტიროდი.
წვიმიან მუსიკის ტირილი ხარბი.
ყელის და ყელსახვევის შავი პოეტიკა.
და ჩემი ოცნება ბოდლერის წარბით
სოველ მოგონებას კვლავ გამოეკიდა.
ქუჩა და ფარანი: უმიზნო, უნაყოფო,
როცა ჩემი სული წამწამებზე ეკიდა.
დაღუპულ ოცნების ღამეში ლალობა,
როცა თვითმკვლევლობის იწვის პოეტიკა!

პირველი თოვლი

პირველი თოვლი მე მაგონებს პირველ სიყვარულს
და პირველ ღამეს,
როცა მე ხარბად დავენაფე მშვენებას ქალურს –
ახალ სიამეს.
ციდან დაკიდა რეჟისორმა ფარდა უსწორო,
ფარდა მთოველი,
და მთელ ქვეყანას დაგვაშორა მხოლოდ ჩვენ ორი.
სდუმდა ყოველი.
განმარტოებით ხმაურობდა სადღაც სარაჯი,
შრიალი ქსელთა.
და იდგა თვალი – საპატიო თეთრი დარაჯი
ჩვენს სარეცელთან.
მაგრამ შეირხა თოვლიანი ფარდა მრავალი –
ცა იმედების.
მოვიდა ქარი და გამართა სხვა კარნავალი
თეთრი გედების.
სარეცელიდან დავინახეთ მთელი თეატრი,
ჩვენთან მოსული.
ყველა გმირები გვილოცავდნენ და ბეატრიჩე,
ბროლით მოცული,
იყო ნირვანა და გრიგალის ხმა დაკორძილი
წვით და წვალებით.
პირველმა თოვლმა გადიხადა ჩვენი ქორწილი
მეტ ბრწყინვალეებით.
ო, რარიგ არის სანეტარო თოვლი პირველი,
პირველი თოვლი!
ნათელ ბავშვობის სიყვარულის გასაკვირველი
პირველი თოვლი.

პირველი თოვლი მე მაგონებს პირველ სიყვარულს
და პირველ ღამეს,
როცა მე ხარბად დავენაფე მშვენებას ქალურს –
ახალ სიამეს.

ტომას ჩატერტონი
(1752-1770)

პროვინციელის სინაზით ეწვია ლონდონს – ბრისტოლიდან,
თვრამეტი წლის ბავშვი,
მომავალი თავისმკვლელი და პოეტი,
გენიალური სქემით:
აღედგინა მეთოთხმეტე საუკუნის არარსებული
პოეტი როულეი, –
თავისი ფანტასტიური წინაპარი – ორეული...

უფრო ძნელია გამოგონება პოეტის,
ვიდრე აზნაურის;
პოეტები ძლივს ასაღებენ თავის თავს,
როგორც კახპები.

ლონდონის კაფეებმა ნახეს ჭაბუკი –
ესკურიალის ბნედით, რომანტიულ შეველიურით.
სურდა დაუფლებოდა შექსპირის
და დედოფალ ელისაბედის ქალაქს.
ცხოვრობდა საეჭვო ოთახებში.
დიასახლისები იბრალებდნენ, როგორც მათხოვარს.
ის დადიოდა ვით უცხოელი და ჯაშუში,
ტემზის ნაპირების ბოგემა,

დიდ ვიტრინების ჟინიანი მაყურებელი.
ქმნიდა სათაურებს: „ქარის ოპერა“, „წვიმის აპოთეოზი“,
„ნიბელუნგები“.

ერთ ღამეს გამოეცხადა როულიე
და დაემუქრა მიზრაფის ჩონჩხით.
თან დაუტოვა თვითმკვლელობის რუკა.
აპირებდა პროვინციაში დაბრუნებას,
მაგრამ არ ჰქონდა შესაფერი ტანისამოსი.
უკანასკნელად მოიწვია თავის ბინაზე
ლონდონის ნისლეები.
კვამლით შემოსილი, როგორც ნერონი – აენობარბი,
ამბობდა ლექსებს.
ენატრებოდა პარაცელსი, ხანძარი, ცირკი,
ბოთლში ამოსული ეკლესია,
კარაბადინი.

მან მოიგონა ღამის ადრესი:
ქუჩა – მიზრაფი, დეზერტირი უცნობი სკრიპკის,
სადაც ჰკიდია და ექანება
დანის პრინცი – ელსინორის მეფური მსხვერპლი.
წარმოუდგა მარადისობა, ვით საყურე ბეატრიჩესი,
როგორც ქარვასლა, სადაც ხსნიან ანგელოზები
ამერიკულ ტიუკებს.
ის კიდევ ერთხელ შეაჩერა
საყვარელ რითმის გამოქროლებამ.
მაგრამ მოისმის ვესტმინსტერის დროის საყვირი,
მაგრამ შუალამემ შეასრულა თავისი ცეკვა
და მოითხოვს იოქანაანის თავს.
ა-გო-ნი-ა!
უკანასკნელი კომმარების ავი დაღმართი!
კირიალეისონ!

მას ამტყუნებდნენ, როგორც ყალბი ფულის მკეთებელს –
გარდაიცვალა ჭეშმარიტად.

აფთიაქებმა დაიგლოვეს თავისი მსხვერპლი
და შავ კატაფალკს მიჰყვებოდა ნოსტრადამუსი.
კიდევ არ არის სიმფონია „ჩატერტონი“,

მაგრამ იქნება:

მოხდება აჯანყება ორკესტრის,
რომელიც გამოაცხადებს დირიჟორად დალუპულ მგოსანს,
და საკრავები, გადაქცეულნი ქიმერებად,
დაერევიან მოკაზმულ ფილისტერებს.

ხომ შეიძლება დასწვა ლონდონი,
რადგან იქ თავი მოინამლა შიმშილისაგან
ჩატერტონმა?

ეს იქნებოდა დიდებული შურისძიება!

დარჩა მხოლოდ პოეტების კაზინო,
რომლის საპატიო თავმჯდომარეა
ტომას ჩატერტონ და მის აჩრდილს
ნელინადში ერთხელ ურიგებენ კარტს.
და ვალერიან გაფრინდაშვილი –
სახელების მარადიორი და პირანეზი
„პოეტის კარიერაში“ სვამს
ჩატერტონის სადღეგრძელოს.

მარაბლის მთვარე

მარაბლის მთვარე, ქურდებს მოხედე!
შენს სამკაულებს ღამეში იძენს
ორი პოეტი, ორი მოხეტე –
გაფრინდაშვილი და ლეონიძე.
მათ წინ სასახლე და ზედ წარწერა:
თავისმკვლელების პანოპტიკუმი.
ყალყზე დამდგარი ნერვების ძგერა
და სასახლეში შეპარვა ჩუმი.
სახლის ღერბია თვით მორიალი,
კიბეს დარაჯობს სანთლის ჭაბუკი,
თითქოს ახალი ესკურიალი
აქ აიმართა – გადასაბუგი.
კედლებზე მკვდარი თუთიყუშები.
სანთლის აჩრდილნი, ცრუ ვარსკვლავები.
ვერცხლის ლანგარზე მწვანე შუშები –
შიგ მოკვეთილი ობლად თავები.
როგორც მედუზა, სპირტში დაცურავს
მარაბლის თავი ღია თვალებით.
გულს ნესტიანი ჩვენება ჰბურავს
მეტი კოშმარით, მეტ განვალებით.
და ლეონიძე იპარავს შუშას
მარაბლის თავით თუ ორეულით.
მან ვერასოდეს ვერ დააშუშოს
თავის ოცნება ბრაზმორეული.
მარაბლის მთვარე, ქურდებს მოხედე!
შენს სამკაულებს ღამეში იძენს
ორი პოეტი, ორი მოხეტე –
გაფრინდაშვილი და ლეონიძე.

სანტიმენტალური ტრიოლეტი

ვარ მონყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.
შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა.
ვარ მონყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა.
მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა.
ვტიროდი ხარბად – მარტოობით ნალერსალი.
ვარ მონყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა.
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.